

თბილისის სამხედრო გიმნაზიაში მისაღებ ეგზამენებისა გამო

(გაზეთი „ივერია“ 1877 წელი)

ქართველები არაოდეს არ ყოფილან მოკლებული სწავლისა და განათლების სურვილს, არც ძველსა, და არც ახალში, მაგრამ ისეთი სურვილი სწავლისადმი, როგორც უკანასკნელ წლებში გამოიჩინეს ქართველებმა, ვგონებ არაოდეს არ ყოფილა მათ შორის. ამ სანუგეშო მოვლენას, რასაკვირველია, თავისი მიზეზი აქვს.

ძველ დროში, მინამ საქართველოს თავისით არსებობა ქონდა, ქართველები თუმცა მიზდევდნენ სწავლა-განათლებას, მაგრამ იდეალურად უყურებდნენ მას; ისინი სწავლას ეტანებოდნენ უფრო თვით სწავლისათვის და არა მისთვის, რომ ის საზრდოს წყაროდ მიაჩნდათ, როგორც მაგალითებრ, ახლანდელი საუკუნის დასაწყისიდან, მას აქეთ, რაც საქართველოს ბედი შეიცვალა და შეუერთდა რუსეთს, საქართველოს ხალხის განათლების საქმე იკისრა, სხვათა შორის მთავრობამ. მან დააწესა რამოდენიმე სასწავლებელი ჩვენში და დაუწყო მოსწავლეებს ძებნა. ჩვენ ვამბობთ „მოსწავლეების ძებნაო“ მისთვის, რომ მთავრობა მაშინ თითქმის ეხვეწებოდა მშობლებს შვილების სკოლაში მიცემას და ყოველ ყმაწვილს, რომელიც შედიოდა სასწავლებელში, მთავრობა სიხარულით აიყვანდა ხოლმე და სახელმწიფო ხარჯით ზრდიდა, მაგრამ მსურველები მაინც ცოტანი იყვნენ. ეს მოვლენა, რასაკვირველია, არ შეიძლება მითი აიხსნას, რომ ქართველები, ვითომც, უმეცარი ხალხი იყო და არ ესმოდათ სწავლისა და განათლების მნიშვნელობა, და საჭიროება, როგორც ზოგიერთი ჩვენი კეთილის მყოფელნი ფიქრობენ. არა, ამის ნამდვილი მიზეზი ის იყო, რომ ქართველები ერთბაშად ვერ მიეცნენ იმ უეცარს მოულოდნელ ცვლილებას, რომელიც მათ ცხოვრებაში მოხდა და ეჭვით დაუწყეს პირველად ყურება რუსულ სასწავლებლებს და მათ დანიშნულებას. შემდეგ კი, როცა მათ დაინახეს, რომ შკოლას ჩვენი არაფერი დაფარული საგანი არა ჰქონდა და ამ შკოლაში აღზრდილ კაცებს სამსახურში გზას უხსნიდა მთავრობა, ჯამაგირსა და ჯილდოს აძლევდა, ისინი დაემორჩილდნენ თავიანთ ახალ მდგომარეობას, მიენდნენ შკოლას და ზოგიერთმა თავად-აზნაურებმა დაიწყეს კიდევ ახალ სასწავლებელში შვილების მიცემა. მაგრამ ჯერ კიდევ ყველა ყმაწვილები სახელმწიფო ხარჯით იზრდებოდნენ და მშობლები სრულიად არაფერს მონაწილეობას არ იღებდნენ მათს აღზრდაში.

ამას გარდა, ადგილობრივთა და განსაკუთრებითა გარემოებათა გამო ჩვენში ამ საუკუნის პირველ ნახევარში ყმაწვილებს ის „პრივილეგიები“ ჰქონდათ, რომ იმათ არ აბრკოლებდა წლოვანობა შკოლაში შესვლის დროს ისე, როგორც დღეს აბრკოლებთ, და ამის გამო შეჰყავდათ მშობლებს სასწავლებლებში უმეტეს ნაწილად ძლიერ დიდები, ასე რომ მაშინ პირველ კლასში ხშირად შეხვდებოდით ისეთ მოზრდილ შეგირდსა, როგორც ეხლა კურსს ასრულებენ დაბალ სასწავლებლებში. ამ გვარად ყმაწვილები მინამ სკოლაში შევიდოდნენ, შეჩვეულნი იყვნენ კიდევ თავიანთ მშობლების სახლში უდარდელს ცხოვრებასა და უზრუნველად დროების გატარებას. მაშასადამე ცხადია, რომ სასწავლებელში ისინი იმ ერთგულებასა და შრომას ვერ აღმოაჩენდნენ, რომელსაც სწავლა მოითხოვს.

სასწავლებლებიც, როგორც ყოველგან, ისე უმეტესად ჩვენში ამ უკანასკნელ დრომდის არ შეადგენდნენ ისეთ დაწესებულებას, რომელსაც შეეძლო მიეზიდა მოსწავლეების გული,

ევარჯიშებია მათი გონება, და სწავლა სასიამოვნოდ გაეხადა. პირველი ადგილი მაშინ შკოლებში მოსწავლეების ცემა-ტყეპასა და ლანძღვას ეჭირათ. თვითონ სწავლაც ჩვენ სკოლებში იმაში მდგომარეობდა, რომ მოსწავლეებს აზეპირებდნენ გაკვეთილებს იმ ენაზე, რომელიც მათ კარგად არ ესმოდათ. ყველა ამ მიზეზებისა გამო ყმაწვილებს სასწავლებელი სატუსალოთ მიაჩნდათ და ყოველ ღონისძიებას ხმარობდნენ, რომ როგორმე გაენთავისუფლებიათ თავი. ამიტომ უმეტესი ნაწილი მათგანი ჰსტოვებდნენ სასწავლებელს ნებით თუ ძალით გარბოდნენ თავიანთ მშობლების სახლში, სადაც მათ ელოდათ მწევარ-მეძებრებითა და ქორ-მიმინოთი ნადირობა.

მშობლებიც, მართალი უნდა ვსთქვათ, უწინ დიდ ძალას არ ატანდნენ თავიანთ შვილებს, რომ ესწავლათ რამე. ეს ამიტომა, რომ უმეტესი ნაწილი ჩვენის თავადაზნაურობისა მაშინ მუქთად ცხოვრობდა ყმების ნაღვაწით და აზრათაც არ მოჰსდოდათ, თუ ოდესმე ამ უზრუნველ ცხოვრებას ბოლო მოეღებოდა.

მაგრამ ბოლოს, განსაკუთრებით მას აქეთ რაც ჩვენში ბატონყმობა მოისპო მშობლებმა დაინახეს სწავლის მიუცილებელი საჭიროება როგორც საზრდოს წყარო, სხვათა შორის და თითქმის ყველა მათგანმა მოინდომა შვილების აღზრდა. ამის გამო ძლიერ აიწია ჩვენში მოსწავლეების რიცხვი. მთავრობამაც რასაკვირველია მიაქცია ყურადღება ამ გვარის მოთხოვნილების დაკმაყოფილებას და მოუმატა სასწავლებლების რიცხვი, მაგრამ სწავლის მსურველები მაინც იმდენი არიან, რომ სამი ამოდენა სასწავლებლებიც რომ იყოს რაც ახლა არის, მაინც უკვე ყველას ვერ დააკმაყოფილებს.

ღარიბის მშობლების შესაწევად მთავრობამ, იმის გარდა, რომ დააწესა ჩვენში სამოქალაქო გიმნაზიებთან პანსიონები, დაუწყო ღარიბ თავადაზნაურობის შვილებს გზავნა რუსეთში სამხედრო გიმნაზიებში. მშობლები სიხარულით თუ სიმწუხრით, ისტუმრებდნენ თავიანთ პატარა შვილებს შორეულს და უცხო ქვეყანას, რადგანაც სხვა საშუალება არა ჰქონდათ. მაგრამ ამას ის შედეგი ჰქონდა, რომ სამხრეთის თფილ ჰაერში დაბადებული და გაზრდილი ყმაწვილები ვერ იტანდნენ ჩრდილოეთის ცივსა და მავნებელ ჰაერს და უმეტესი ნაწილი მათგანი იხოცებოდა რუსეთში. ისინიც, რომლებიც ცოცხალი გადაურჩებოდნენ, მოდიოდნენ უკანვე თავიანთ სამშობლოში დასნეულებულნი, ხშირად სწავლის შეუსრულებლად. ამის მიზეზი ის იყო, იმით გზავნიდნენ რუსეთში ძლიერ პატარებს და ისე ცუდათ მომზადებულებს, რომ ბევრს მათგანს რუსულიც არ ესმოდათ. მიიყვანდნენ თუ არა რუსეთში სამხედრო გიმნაზიაში, დააწყებინებდნენ სწავლას ერთად რუსის ყმაწვილებთან, რასაკვირველია, რუსულ ენაზე მაშ რაღა თქმა უნდა, რომ ისინი ვერ ისწავლიდნენ ხეირიანად იჩაგრებოდნენ როგორც აგებულობით, ისე გონებითაც, და ბოლოს რამდენიმე წლის შემდეგ სასწავლებლიდგანაც ითხოვდნენ და გზავნიდნენ უკანვე მშობლების ხარჯით.

ამ მიზეზისა გამო, სხვათა შორის, ჩვენმა თავად-აზნაურობამ საჭიროდ დაინახა და სთხოვა თავის ადრესში იმპერატორს, მისს უმაღლესობის ჩვენში მობრძანების დროს, უმაღლესის სწავლისათვის სასწავლებლის ბოძება და საშუალო სწავლისათვის სასწავლებელთა რიცხვის მომატება. მთავრობამ საჭიროდ დაინახა მარტო სამხედრო გიმნაზიის დაარსება ჩვენში და თავად-აზნაურობას აღუსრულდათ ამ გვარად თავიანთი სურვილი. თავად-აზნაურობას, რაღა თქმა უნდა, დიდი იმედი ჰქონდა, რომ სამხედრო გიმნაზიის გახსნა სასარგებლო იქნებოდა

იმათთვის და რამდენადმე მაინც დააკმაყოფილებდა იმათ საჭიროებას შვილების აღზრდის შესახებ. მაგრამ საქმე ის არის, მართლა მოუტანა თუ არა მოხსენებულმა გიმნაზიამ ჩვენ ღარიბ თავად-აზნაურობას სასურველი სარგებლობა?

ამ კითხვის გადასაწყვეტად საჭიროა მივაქციოთ ყურადღება იმ პირობებს, რა პირობებითაც არის ჩვენში დაწესებული სამხედრო გიმნაზია და რა გარემოებებით არის მოცული მასში ყმაწვილის შეყვანა.

თბილისის სამხედრო გიმნაზიას ისეთი განსაკუთრებითი დანიშნულება არა აქვს თავად-აზნაურებისათვის, როგორც უმეტეს ნაწილს რუსეთის შინა გუბერნიების სამხედრო გიმნაზიებს აქვს: ეს სასწავლებელი არის დაწესებული საზოგადოდ კავკასიის აქეთ მხრის ყველა წოდების ხალხისათვის. ყმაწვილებს იყვანენ „კონკურსის ეგზამენით“, ესე იგი ბევრში არჩევენ მისაღებად მხოლოდ იმათ, ვინც გამოსაცდელ ეგზამენს უკეთესად დაიჭერს, ჩვენ, რასაკვირველია, ამ დედა-აზრის წინააღმდეგი არა ვართ; ჩვენ მხოლოდ ის გვინდა დავანახოთ მკითხველს, თუ რა შედეგი აქვს ამ დედააზრს იმათთვის, ვის თხოვნითაც ეს გიმნაზია დაწესდა და ვინც სიხარულით მოელოდა მის გამართვასა, ესე იგი, ჩვენის თავად-აზნაურობისათვის.

ზემოხსენებულის საფუძველის ძალით კავკასიის „ოკრუგის შტაბი“ მიიღებს ხოლმე ყოველის მთხოვნელის არხას და ყოველის მთხოვნელსა, რამდენიც უნდა იყოს, აძლევს ნებას მოიყვანოს ყმაწვილი გიმნაზიაში, თავის დროზე, გამოსაცდელის ეგზამენის დასაჭერად. მაგრამ, რადგანაც მთხოვნელები ძლიერ ბევრნი არიან, ხშირად მოხდება, რომ ეგზამენის დროს გროვდება სამიდან-ოთხს ყმაწვილამდე, ადგილი კი ორმოცდაათზე მეტი არასოდეს არ არის. წარმოიდგინეთ ეხლა ღარიბის მშობლების მდგომარეობა! იღებენ ვალს, ანუ ჰყიდიან რაც გააჩნიათ, აძლევენ მასწავლებელთ და ამ ყოფით მთელის წლის განმავლობაში ამზადებენ თავიანთ შვილებს იმ იმედით, რომ იმათ სახელმწიფო ხარჯით მიიღებენ. მოაწევს თუ არა ეგზამენის დრო, ჩამოჰყავთ შვილები საიდან-სად ქალაქში, აქ ორი ან სამი კვირა ჰსცხოვრობენ სასტუმროში, მინამ მისაღები ეგზამენები გათავდება, უკანასკნელ გროშს ხარჯავენ, და ბოლოს კი გიმნაზიის გამგეობა უცხადებს, რომ მათის ყმაწვილის მიღება არ შეიძლება, რადგანაც მან ეგზამენი სხვაზე უფრო სუსტად დაიჭირა. რა ჰქნას ეხლა საბრალო მშობელმა? დაანებოს სულ თავი საქმეს. - როგორ დაანებოს? ერთი რომ მისი შვილი უსწავლელი დარჩება და სხვა წყარო ცხოვრებისა არა გააჩნია რა, მეორეც ამდენი ხარჯი სულ მუქთად ჩაუვლის. ამიტომ ის ვალზედ კიდევ ვალს უმატებს, ჰფიქრობს, რომ, ალბათ, ჩემი შვილის მასწავლებელი უხეირო ყოფილა, რიგიანად ვერ მოუმზადებიაო, და ეძებს სხვა მასწავლებელს* იმ იმედით, რასაკვირველია, რომ მომავალ წელს მაინც ერგება მის შვილს გიმნაზიაში ადგილი. მაგრამ, მისდა საუბედუროდ ვერც მეორე წელიწადს იჭერს მისი შვილი ეგზამენს, დარჩება საწყალი ყმაწვილი კვლავაც მიუღებელი. ამასობაში დროც გადის და ყმაწვილს ხანი ემატება, რადგანაც პირველ კლასში 12 წელს ზევით ყმაწვილს არ

* მასწავლებლის პოვნაც არ არის ძნელი ეხლა ჩვენში, რადგანაც ცრუ პედაგოგები ძლიერ გამრავლდნენ ამ ბოლო დროს. ცრუ ადვოკატებმა ტყავი გააძრეს ხალხს და ეხლა იმათ დასს ცრუ პედაგოგებიც

მიემატნენ. ფულს წინდაწინ ართმევენ ყმაწვილის პატრონებს, ჰპირდებიან მოგიმზადებთო და, რაკი ფულს ხელში ჩაიგდებენ, რა დარდი აქვთ მიიღებენ თუ არა მათ შევირდებს სასწავლებელში. საბრალო მშობლებსაც იმოდენად ცოდნა და გამოცდილება არა აქვთ, რომ გაარჩიონ ავი და კარგი.

იყვანენ, ამიტომ მომავალში ის მეორე კლასისთვის უნდა მომზადდეს, და ამ კლასში, სხვა საგნებს გარდა, უცხო ენებსაც (ფრანგულსა და ნემენცურს) ჰკითხავენ. ამიტომ საქმე კიდევ უფრო ძნელდება, მაგრამ საბრალო მშობელი საქმეს მაინც თავს არ ანებებს და ამზადებს შვილს მეორე კლასისათვის. მოდის ეგზამენების დრო; მშობელს ჩამოჰყავს ყმაწვილი გიმნაზიაში-ეს უკვე მესამედ, მაგრამ ყმაწვილი გიმნაზიაში მაინც ვერ შედის! ამას თუ ესეც დაეუმატეთ, რომ ზოგჯერ ბევრნი საზოგადოდ რიგიანად იჭერენ მისაღებ ეგზამენს, მაგრამ ზოგიერთ მათგანს მაინც არ ხვდებათ ადგილი, რადგანაც ადგილები ცოტა არის და ეგზამენის დამჭერლები კი მრავალი არიან, მაშინ უფრო ცხადად დავინახავთ მშობლების სამწუხარო მდგომარეობას. წელს, მაგალითებრ, ორმოცი თუ ორმოცდაათი ადგილი იყო თავისუფალი. ეგზამენის დროს შეიკრიბა სამასზე მეტი ყმაწვილი. იმათგან მომეტებულმა ნაწილმა მიიღო რიცხვთა შუა ანგარიშით 8 ბალი, მაშინ როდესაც 7-იც საკმაოა, რომ ყმაწვილი მიიღოს. მაგრამ რადგანაც ადგილები არ იყო, გიმნაზიის მთავრობამ აღმოაჩინა ისინი, ვისაც 10 და 9 ჰქონდა და სხვებს ყველას უარი უთხრა. საწყალმა მშობლებმა არ იცოდნენ რა ექნათ. წარსულს წლებში იმათ უარს ეუბნებოდნენ მისთვის, რომ მათმა შვილებმა ეგზამენი ვერ დაიჭირესო, წელს კი თუმცა ეგზამენი კარგად დაიჭირესო, მაგრამ მაინც კიდევ უარი უთხრეს, სხვამ უფრო კარგად დაიჭირაო. ბევრნი მშობელთაგანნი მოთმინებიდგან გამოვიდნენ და უადგილო სიტყვების დახარჯეს, მაგრამ საქმეს მაინც ვერა უშველეს რა...ზოგიერთნი უჩიოდნენ ეგზამინატორებს, რომ ვითომც ზოგიერთი მათგანი ფიცხლად და უდიერად ეპყრობოდნენ ყმაწვილებს გამოცდის დროსაო. განსაკუთრებით გაბოროტებულნი იყვნენ ერთ პატარა იმათგანზე...

იქნება ყველა ზემოთ ნათქვამის შესახებ თბილისის სამხედრო გიმნაზიისა გადამეტებულად გეჩვენოს, მკითხველო, მაგრამ დამერწმუნეთ, რომ სულ ყველაფერი, რაც გვითქვამს, ნამდვილი სიმართლეა. მე თვითონ ვიცი ისეთი მშობელი, რომელიც მას აქვთ, რაც მოხსენებული სამხედრო გიმნაზია დაარსდა, ყოველ წელიწადს ამზადებს თავის ყმაწვილს, და ჩამოჰყავს ეგზამენების დროს და ყოველთვის უკანვე მიჰყავს. ორ პირველ წელიწადს უარი უთხრეს, რადგანაც მისმა შვილმა კარგად ეგზამენი ვერ დაიჭირა ხოლო წელს, თუმცა ყმაწვილმა რიგიანად გამოიარა ეგზამენი, მაინც კიდევ უარი უთხრეს მისთვის, რომ მისმა ყმაწვილმა 8 მიიღო ეგზამენებში, სხვებს კი 9 და 10 ჰქონდათ.

ჩვენ ზემოთა ვსთქვით, რომ თბილისის სამხედრო გიმნაზიაში ყმაწვილებს როგორც თავისი ხარჯით, ისე სახელმწიფო ხარჯით იყვანენ ყველას გაურჩევლად, როგორც მდიდრების, ისე ღარიბების შვილებს, „კონკურსის ეგზამენით“, რადგან მდიდრებს შეუძლიათ უფრო კარგად მოამზადონ თავიანთი შვილები, ვიდრე ღარიბებს, ქალაქში მცხოვრებლებს უფრო კარგად, ვიდრე სოფლებს, ნასწავლ მშობლებს უკეთ, ვიდრე უსწავლელთ, ამიტომ ამ სასწავლებელში ყმაწვილების შეყვანაში პირველები სჯობნიან და სჯაბნიან უკანასკნელებს: მდიდრების შვილებს გაღებული აქვთ გიმნაზიის კარი, ღარიბებისას დახშული. ეს თუ ასეა,

მაშინ ცხადი მისახდომია, რომ თბილისის სამხედრო გიმნაზიის დაწესებით ჩვენს ღარიბ თავად-აზნაურებს უბრალო ხარჯის, ტანჯვისა და ზიანის მეტი არაფერი მოჰმატებიათ რა.

მაშ რა პირობით უნდა ყოფილიყო დაწესებული ეს სასწავლებელი, რომ მას მოეტანა ცოტაოდენი მაინც სარგებლობა იმათთვის, ვინც უფრო საჭიროებს სახელმწიფო ხარჯით შვილების გაზრდას, ვინ ითხოვა მაგვარის სასწავლებლის გამართვა, რომ მით მოეკლა აუცილებელი წყურვილი შვილების კაცად ქცევისა?

პირველად, რადგანაც ჩვენი ხალხი ღარიბი და გაუნათლებელია და ამიტომ არ შეუძლიანთ მშობლებს თვითონ თავიანთი შვილების მომზადება პირველის კლასისათვის, ამიტომ სამხედრო გიმნაზიას უნდა ჰქონოდა უსათუოდ მოსამზადებელი კლასი ისე, როგორც სამოქალაქო გიმნაზიებს აქვთ.

მეორე, თუ მთავრობას თავად-აზნაურობის თხოვნა და საჭიროება ჰქონდა მხედველობაში ამ სასწავლებლის დაფუძნების დროს, სახელმწიფო სტიპენდიები უნდა გაენაწილებინა ყველა ჩვენი ღუბერნიების ღარიბ თავადაზნაურებთ შორის და სახელმწიფო ხარჯით უნდა მიეღოთ მარტო ნამდვილად ღარიბი მშობლების შვილები ისე როგორც სხვა სამხედრო გიმნაზიებში იღებენ, და არა ასრე გაურჩევლად. მესამე, შტაბს უნდა მხედველობაში ჰქონოდა, რომ თითო ადგილზე ორ-ორი და სამ-სამი მოცილე (კონკურენტი) საკმაო იყო და ამიტომ მათი რიცხვი განუსაზღვრელი არ უნდა ყოფილიყო ისე, როგორც ეხლა არის, ამითი ის დაიხსნიდა მშობლებს ამაო ხარჯისაგან. თუმცა ყველა ეს ასე უნდა ყოფილიყო, ჩვენი ფიქრით, მაგრამ, სამწუხაროდ, ყოველ ამას მოკლებულია ჩვენი სამხედრო გიმნაზია.

ეხლა, რადგანაც ჩვენ საზოგადოებას, სიღარიბისა გამო თავის ხარჯით საშუალო სასწავლებლების გახსნა არ შეუძლია ყმაწვილებისათვის, ეს მაინც უშველონ საქმეს, დააწესონ საზოგადო მოსამზადებელი კლასები. მოსამზადებელი კლასების საგანი, რასაკვირველია, ის იქნება, რომ ამზადოს ყმაწვილები ყოველ-გვარის სასწავლებლებისათვის. ამ გვარის კლასების დაარსება მიუცილებლად საჭიროა, რადგანაც ეხლა არც ერთ საშუალო სასწავლებელში არ იყვანენ ყმაწვილს უმისოდ, თუ წერა-კითხვა მაინც და რუსული ლაპარაკი არ იცის. მოსამზადებელი კლასები ძლიერ შეუმოკლებენ მშობლებს ხარჯს, რადგანაც მის ნაცვლად, რომ ყოველი მათგანი ცალკე და სათვითათო იხარჯება მასწავლებელზედ თავისი შვილების აღსაზრდელად, მთელის მოსამზადებელის კლასისათვის ორი ან სამი რიგიანი მასწავლებელი და დაჰსჭირდებათ. არ იქნება ურიგო, რომ კეთილსა და სასარგებლო საქმეში მიიღონ მონაწილეობა საადგილ-მამულო ბანკებმა.

ტექსტის ციფრული ვერსია მოამზადა:

ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ გომის საჯარო სკოლის სამოქალაქო განათლების მასწავლებელმა, **ციური თედიაშვილმა**.

3 აპრილი, 2020 წელი

#დარჩისახლში